

შპს "აჭარა.ქომ"

2021 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "აჭარა.ქომ"-ის მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აჭარა.ქომ“-ის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორების მიერ, რომლებმაც გამოთქვეს არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2021 წლის 3 ივნისს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"

29 სექტემბერი 2023 წელი

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	3,242	475
არამატერიალური აქტივები	12	-	3,852
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,242	4,327
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		16	3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	7,535	755
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	292	30
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,843	788
სულ აქტივები		11,085	5,115
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	15,448	3,394
დაგროვილი ზარალები		(13,624)	(7,981)
სულ კაპიტალი		1,824	(4,587)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	-	7,215
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	7,215
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	16	6,295	30
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,547	1,960
საგადასახადო ვალდებულებები		419	497
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,261	2,487
სულ ვალდებულებები		9,261	9,702
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,085	5,115

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-27 გვერდებზე

'000 ლარი	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი მომსახურებიდან	5	24,951	9,689
სხვა შემოსავალი		33	46
სულ შემოსავალი		24,984	9,735
ცვეთა და ამორტიზაცია*	11,12	(10,139)	(6,375)
დასაქმებულთა გასამრჯელოები	6	(8,037)	(3,335)
გაუფასურების ზარალი გრძელვადიან აქტივებზე	11,12	(3,659)	-
სხვა ხარჯები	7	(3,460)	(954)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	8	(3,252)	(267)
კონტენტის ხარჯები	9	(1,154)	-
საიჯარო ხარჯები		(834)	(339)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(5,551)	(1,535)
ფინანსური ხარჯები	10	(631)	(680)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /(ზარალი)		539	(1,065)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(92)	(1,745)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(5,643)	(3,280)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		(5,643)	(3,280)

*ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს 9,272 ათასი ლარის და 6,192 ათასი ლარის ოდენობით სამაუწყებლო ლიცენზიის ამორტიზაციის ხარჯებს 2021 და 2020 წლებში, შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 29 სექტემბერი 2023 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი
გიორგი ფრუიძე

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-27 გვერდებზე.

შპს "აჭარა.ქომ"

2021 წლის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს		2,830	(4,701)	(1,871)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	564	-	564
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	(3,280)	(3,280)
წლის ზარალი		3,394	(7,981)	(4,587)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს				
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს		3,394	(7,981)	(4,587)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	12,054	-	12,054
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	(5,643)	(5,643)
წლის ზარალი		15,448	(13,624)	1,824
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს				

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 27 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		19,631	12,668
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(6,513)	(1,806)
დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(5,682)	(2,389)
გადახდილი გადასახადები		(3,562)	(1,880)
გადახდილი პროცენტი	16	(645)	(669)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,229	5,924
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(3,618)	(94)
არამატერიალური აქტივების შეძენა	12	(11,307)	(6,779)
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		(33)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(14,958)	(6,873)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	17	-	487
სესხების დაფარვა	17	-	(168)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	12,054	564
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		12,054	883
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		325	(66)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, წმინდა		30	133
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	292	30

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 27 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა საქართველოს ბიზნეს გარემოში.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზე. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთიანი ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „აჭარა.ქომის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“).

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც 2019 წლის 31 ივლისს დარეგისტრირდა. კომპანიის შვილობილი კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N14 და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404582055.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სატელევიზიო გადაცემების შექმნა, სპეციალიზებული სპორტული აქტივობების მაუწყებლობა და სამაუწყებლო კომპანიებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა. ჯგუფი მაუწყებლობს სპორტულ ღონისძიებებსა და გადაცემებს შემდეგი ვებგვერდების საშუალებით: www.adjara.com და www.setanta.ge და შემდეგი არხების საშუალებით: adjarasport1, adjarasport2, Setanta sport და Setanta sports +. მაუწყებლობა მოიცავს სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა საფეხბურთო ლიგები (ინგლისის პრემიერ ლიგა, გერმანიის ბუნდესლიგა და ა.შ.), ჩოგბურთის ტურნირები და „Ultimate Fighting Championships“ (UFC) და შოუები, რომლებსაც ჯგუფი იღებს მაუწყებლობის ლიცენზიებით სპორტული ღონისძიებებისა და ახალი ამბების პროვაიდერებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია სრულად იყო ფლობილი შპს „სითი ლოფტის“ (მშობელი კომპანია) მიერ (საქართველოში, თბილისში რეგისტრირებული კომპანია), ხოლო მისი საბოლოო მფლობელი იყო ფიზიკური პირი თეიმურაზ უგულავა (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე). ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ პირდაპირ შვილობილ კომპანიებს:

პირდაპირი შვილობილი კომპანია	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი 2021 წლის 31 დეკემბერს	საკუთრების წილი 2020 წლის 31 დეკემბერს
შპს "აჭარა.ქომ"	ჰოლდინგური საწარმო ტექნიკური, მარკეტინგული, სარეკლამო და სამაუწყებლო ქსელის მომწოდებელი	100%	100%
შპს „Adjarasport.tv“	სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი და მომწოდებელი	100%	100%

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები 1,418 ათასი ლარით (31 დეკემბერი 2020: 1,699 ათასი ლარი), აჭარბებდა მის მოკლევადიან აქტივებს, ამასთანავე, ჯგუფმა გასწია 5,643 ათასი და 3,280 ათასი ლარის ოდენობით ზარალები 2021 და 2020 წლებში, შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის დაფინანსების უდიდესი ნაწილი მშობელი კომპანიისგან არის, ხოლო საკრედიტო დაქვემდებარება - მესამე მხარის საფინანსო დაწესებულებების მიმართ. შედეგად, ჯგუფი ეკონომიკურად დამოკიდებულია მშობელი კომპანიისგან და საკრედიტო დაწესებულებებისგან მიღებულ დაფინანსებაზე. 2021 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფის სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან 6,295 ათასი ლარის ოდენობით თანხას მოიცავს (31 დეკემბერი 2020: 7,245 ათასი ლარი).

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზის გამო:

ნაკლებად სავარაუდო, მოვლენათა ყველაზე ცუდი განვითარების შემთხვევაში, მშობელი კომპანია ჯგუფს ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს: მშობელმა კომპანიამ დააფიქსირა მისი განზრახვა, რომ შემდგომშიც ხელმისაწვდომი გახადოს ფინანსური რესურსი ჯგუფის საჭიროების შესაბამისად, პროგნოზით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში (წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში).

აღნიშნულის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფს ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დადასტურების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდისთვის და შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობის დაშვებასთან დაკავშირებით. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მშობელმა კომპანიამ განახორციელა დამატებითი შენატანები კომპანიის კაპიტალში, იხ. შენიშვნა 22(a).

(c) ცვლილება კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში

2021 წელს, ჯგუფმა შეცვალა გარკვეული მუხლების წარდგენა კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რადგან ახალი წარდგენა უკეთ ასახავს ჯგუფის საქმიანობის შედეგებს. შესაბამისი ციფრები შესაბამისად დაკორექტირდა. წარდგენაში ცვლილებების გავლენა შესაბამის ციფრებზე წარმოდგენილია ქვემოთ.

’000 ლარი	2020		
	ადრე წარდგენილის შესაბამისად	რეკლასიფიცირებული ოდენობა	მიმდინარე წარდგენის შესაბამისად
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	(857)	857	-
შემენილი მომსახურება	(857)	857	-
სხვა ხარჯები	(97)	(857)	(954)

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ათას ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ახსნა-განმარტებებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მსჯელობებთან, დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 11 - ძირითადი საშუალებების გაუფასურება და შენიშვნაში 12 - არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

5. შემოსავალი მომსახურებიდან

'000 ლარი	2021	2020
სპონსორობის მომსახურება	12,289	6,654
სარეკლამო მომსახურება *	6,483	203
შემოსავალი სამაუწყებლო ქსელის მიწოდებიდან	4,815	2,809
ტექნიკური მხარდაჭერა და მარკეტინგული მომსახურება*	1,364	23
	24,951	9,689

*2021 წელს, ჯგუფმა დაკავშირებული მხარის საწარმოსთან, „Eurasian Broadcasting Enterprise Limited (EBEL)“-სთან გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება EBEL-ის მიერ ფლობილი სამაუწყებლო არხებისთვის სარეკლამო, ტექნიკური და მარკეტინგის მომსახურების მიწოდებაზე.

6. დასაქმებულთა გასამრჯელოები

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	7,555	3,230
საპენსიო ფონდი	133	58
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	80	37
სხვა სარგებელი	269	10
	8,037	3,335

7. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
გრძელვადიანი აქტივის ჩამოწერა *	1,853	-
პროფესიული მომსახურების საფასური	526	487
გამოწერის საფასური	157	27
ტექნიკური საფასური	148	77
კოლოკაციის ხარჯი	138	125
საოფისე ხარჯები	137	42
IT ხარჯები	132	-
ტრანსპორტირების ხარჯები	71	13
კომუნალური ხარჯები	58	60
საგადასახადო ხარჯები	57	14
სხვა ხარჯები	183	109
	3,460	954

*2021 წლის თებერვალში, ჯგუფმა შპს „სეტანტა ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება, აქტივის შეძენაზე, მათ შორის ფიქსირებული აქტივები, საიჯარო ხელშეკრულებები და მომსახურების ხელშეკრულებები. აქტივების შეძენის ფასი 2,543 ათასი ლარით განისაზღვრა, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლით. ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი რომელმაც განსაზღვრა თითოეული შეძენილი აქტივის ინდივიდუალური სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისთვის. მთლიანი შესყიდვის ფასი განაწილდა შეძენილ აქტივებზე მათ შესაბამისი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით, შეძენის თარიღისთვის. შესყიდვის ფასის არსებითი ნაწილი (95%) EBEL-თან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებაზე განაწილდა.

აქტივების გადაცემის შემდეგ, 2021 წლის მარტში, EBEL-მა და ჯგუფმა შეწყვიტეს მომსახურების ხელშეკრულება და გააფორმეს ახალი მომსახურების ხელშეკრულება მომსახურების გაზრდილი მოცულობით და შეცვალეს მომსახურების გაწევის პირობები. შედეგად, ჯგუფმა ჩამოწერა EBEL-თან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული 1,823 ათასი ლარის ოდენობით არამატერიალური აქტივები.

8. სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
სოციალური მედიის ხარჯები	2,138	214
სატელევიზიო რეკლამის ხარჯები	467	14
რებრენდინგის ხარჯები	360	-
სხვა მარკეტინგის ხარჯები	287	39
	3,252	267

სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯების ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული EBEL-თან გაფორმებულ ახალ მომსახურების ხელშეკრულებასთან, რომლის მიხედვითაც, ჯგუფი EBEL-ის სამაუწყებლო არხებს უწევს სარეკლამო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 5).

9. კონტენტის ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
სპონსორობის მომსახურების საფასური	286	-
კონტენტის გადაცემის ხარჯები	868	-
	1,154	-

მომსახურების ხარჯები, ჯგუფის მიერ EBEL-ისთვის გაწეულ ტექნიკურ და სარეკლამო მომსახურებაზე გაწეულ სპონსორობის მომსახურების საფასურს და კონტენტის გადაცემის ხარჯებს მოიცავს.

10. ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	463	408
საპროცენტო ხარჯი გარანტიებზე	168	272
	631	680

11. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	კომპიუტერები		საიჯარო გაუმჯობესებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
	ტელეკომუნიკაცია და აღჭურვილობა	და სხვა აღჭურვილობა			
თვითღირებულება					
2020 წლის 1 იანვარს	511	40	-	39	590
შესყიდვები	71	29	-	-	100
2020 წლის 31 დეკემბერს	582	69	-	39	690
2021 წლის 1 იანვარს	582	69	-	39	690
შესყიდვები	3,012	283	107	216	3,618
გასვლები / ჩამოწერები	(15)	(16)	-	(39)	(70)
2021 წლის 31 დეკემბერს	3,579	336	107	216	4,238
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალები					
2020 წლის 1 იანვარს	(29)	(3)	-	(2)	(34)
წლის ცვეთა	(154)	(19)	-	(8)	(181)
2020 წლის 31 დეკემბერს	(183)	(22)	-	(10)	(215)
2021 წლის 1 იანვარს	(183)	(22)	-	(10)	(215)
წლის ცვეთა	(462)	(64)	(2)	(25)	(553)
გასვლები / ჩამოწერები	11	12	-	13	36
გაუფასურების ზარალი					
წლის განმავლობაში	(238)	(26)	-	-	(264)
2021 წლის 31 დეკემბერს	(872)	(100)	(2)	(22)	(996)
საბალანსო					
ღირებულებები					
2020 წლის 1 იანვარს	482	37	-	37	556
2020 წლის 31 დეკემბერს	399	47	-	29	475
2021 წლის 31 დეკემბერს	2,707	236	105	194	3,242

დამატებები ძირითად საშუალებებზე ძირითადად წარმოადგენს ახალ აღჭურვილობას, რომელიც შეძენილია სამაუწყებლო კომპანიებისთვის (EBEL 2021 წელს) ტექნიკური და მარკეტინგის მომსახურების გასაწევად.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გამოავლინა მაჩვენებელი იმისა, რომ ის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელშიც შეტანილია ძირითადი საშუალებები შეიძლება იყოს გაუფასურებული, რადგან ბიზნესი ზარალიანია. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულში შეტანილი აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა მათი სამართლიანი ღირებულებით, გასვლის ხარჯების გამოკლებით. 2021 წელს განხორციელებული დამატებების ანაზღაურებადი ღირებულება აქტივების საბალანსო ღირებულებას მიახლოებული ოდენობით შეფასდა და გაუფასურება არ ყოფილა აღიარებული. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასვლის ხარჯები (FVLCD) იდენტური აქტივების დაკვირვებადი კოტირებული ფასების მიხედვით შეფასდა. რადგან ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი შეძენილი და ექსპლუატაციაში შეყვანილი იქნა 2021 წლის ბოლოს, ხელმძღვანელობას ტექნოლოგიური ან ფიზიკური დაძველების ნიშნები არ გამოუვლენია. რაც შეეხება 2021 წლამდე შეძენილ ძირითად საშუალებებს, ხელმძღვანელობამ მისი ანაზღაურებადი ღირებულება ნულის ტოლი ოდენობით შეაფასა და 264 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი აღიარა.

მგრძნობელობის ანალიზი

ხელმძღვანელობის შეფასებით 2021 წელს შეძენილი აქტივების „სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასვლის ხარჯების“ 10%-იანი კლება ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებაზე დაბლა დაწევას არ გამოიწვევდა.

12. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	სამაუწყებლო უფლებები	სხვა	სულ
თვითღირებულება			
2020 წლის 1 იანვარს	5,694	11	5,705
შესყიდვები	7,367	16	7,383
გასვლები / ჩამოწერები	(6,480)	-	(6,480)
2020 წლის 31 დეკემბერს	6,581	27	6,608
2021 წლის 1 იანვარს	6,581	27	6,608
შესყიდვები	8,747	3,762	12,509
გასვლები / ჩამოწერები	(8,226)	(3,689)	(11,915)
2021 წლის 31 დეკემბერს	7,102	100	7,202
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები			
2020 წლის 1 იანვარს	(2,930)	-	(2,930)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(6,192)	(1)	(6,193)
გასვლები / ჩამოწერები	6,367	-	6,367
2020 წლის 31 დეკემბერს	(2,755)	(1)	(2,756)
2021 წლის 1 იანვარს	(2,755)	(1)	(2,756)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(9,272)	(281)	(9,553)
გასვლები / ჩამოწერები	8,226	276	8,502
გაუფასურების ზარალი წლის განმავლობაში	(3,301)	(94)	(3,395)
2021 წლის 31 დეკემბერს	(7,102)	(100)	(7,202)
საბალანსო ღირებულებები			
2020 წლის 1 იანვარს	2,764	11	2,775
2020 წლის 31 დეკემბერს	3,826	26	3,852
2021 წლის 31 დეკემბერს	-	-	-

არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს სამაუწყებლო ლიცენზიები შეადგენს. ლიცენზიები აღიარდება და მათი აღიარება წყდება სეზონურად, შესაბამისად, ზემოთ მოცემულ უწყვეტობის ცხრილში ასახულია დამატებების და გასვლების ოდენობები.

ჯგუფმა შეიძინა შემდეგი სპორტული ღონისძიებების სამაუწყებლო უფლებები: ინგლისის პრემიერ ლიგა, FA თასი, გერმანიის თასი, ესპანეთის თასი, ავსტრიის ბუნდესლიგა, ჩოგბურთის ტურნირები (WTA, ATP) და UFC და ა.შ. მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ჯგუფმა მიიღო სამაუწყებლო უფლებები 2022 და 2023 წლებისთვის. ჯგუფმა სამაუწყებლო უფლება აქტივზე კონტროლის მოპოვების თარიღისთვის აღიარა. კონტროლის მოპოვების თარიღის განსაზღვრა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე არის დამოკიდებული. ფაქტორები, რომლებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მოიცავს:

- 1) არის თუ არა შესაბამისი რესურსი საკმარისად იდენტიფიცირებადი.
- 2) აქვს თუ არა საწარმოს ექსკლუზიური იურიდიული უფლებები მაუწყებლობაზე.
- 3) არსებობს თუ არა მოვლენის მოხდების ალბათობა
- 4) არსებობს თუ არა ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდიანების ალბათობა

იმისათვის, რომ სპორტული ღონისძიების მაუწყებლობის უფლება იყოს იდენტიფიცირებადი, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ფაქტორები: ადგილმდებარეობა, მონაწილეების რაოდენობა და იდენტობა, ღონისძიებების ჩატარების დრო.

ექსკლუზიურობის განსასაზღვრად ჯგუფი განსაზღვრული პერიოდის და გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ხელშეკრულებას იყენებს. შემოადინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, ჯგუფი აღიარებს აქტივს და ვალდებულებას.

მაუწყებლობის უფლებებთან დაკავშირებული მომავალი გადახდები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალდებულებები	1 წლამდე	1-3 წლამდე	სულ
სავაჭრო			
ვალდებულებები	7,046	1,138	8,184

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა გამოავლინა მაჩვენებელი იმისა, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელიც მაუწყებლობის ლიცენზიებს მოიცავს, შეიძლება იყოს გაუფასურებული. ფულადი სახსრების წარმომქმნელმა ერთეულმა არ გამოიმუშავა დადებითი ფულადი ნაკადები. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, არამატერიალური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა. შედეგად, ხელმძღვანელობამ 3,395 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი აღიარა.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადახდილი ავანსები	269	616
სავაჭრო მოთხოვნები*	7,266	173
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,535	789
უიმედო ვალების რეზერვი	-	(34)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7,535	755
	2021	2020
მოდრობა რეზერვის ანგარიშზე:		
ნაშთი წლის დასაწყისში	(34)	(34)
მოგებაში ან (ზარალში) აღიარებული ცვლილებები	34	-
ნაშთი წლის ბოლოს	-	(34)

*სავაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაწილი EBEL-ის მიმართ არსებულ ნაშთს წარმოადგენს.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	28	10
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	264	20
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	292	30

15. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და 15,448 ათასი ლარის ტოლია (2020: 3,394 ათასი ლარი).

2021 წელს, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 12,054 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანებით იქნა გაზრდილი მშობელი კომპანიის მიერ (2020: 564 ათასი ლარი).

16. სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხები	-	7,215
	-	7,215
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხები	6,295	30
	6,295	30
	6,295	7,245

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი				31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან აღებული სესხები*	ევრო	6-თვიანი EUR- Libor + 7% p.a. მარჟა	მოთხოვნამდე	3,187	3,657
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	ევრო	6-თვიანი EUR- Euribor + 7% p.a. მარჟა	2022	3,108	3,588
სულ პროცენტია ვალდებულებები				6,295	7,245

ბანკებისგან მიღებული სესხის მიზანი სამაუწყებლო ლიცენზიის ღირებულების დაფინანსებაა.

*მიღებული სესხები უზრუნველყოფილია მშობელი კომპანიის და იმავე დონის შვილობილი საწარმოების გრძელვადიანი აქტივებით. ამასთანავე, სესხი კოვენანტებს ექვემდებარება. ჯგუფმა არ დააკმაყოფილა ყველა კოვენანტი, სასესხო ხელშეკრულებით მოთხოვნილის შესაბამისად. აღნიშნული დარღვევის გამო, დაუფარავი ნაშთი წარმოდგენილია მოკლევადიანი ვალდებულების სახით 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, სესხებისა და კრედიტების რესტრუქტურისა მოხდა (იხ. შენიშვნა 22 (d)).

(b) სესხებისა და კრედიტების მოძრაობის შეჯერება:

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი 1 იანვარს	7,245	5,486
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	487
სესხების დაფარვა	-	(168)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	-	319
სხვა ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი	463	408
გადახდილი პროცენტი	(492)	(398)
საკურო სხვაობით განპირობებული (შემოსულობა)/ზარალი	(921)	1,430
ნაშთი 31 დეკემბერს	6,295	7,245

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	2,418	715
მიღებული ავანსები	28	1,176
სხვა ვალდებულებები	101	69
	2,547	1,960

18. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო ქონებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობება ჯგუფის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ ჯგუფის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსაზღვრულად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

19. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის შპს „სითი ლოფტი“ და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა, ფიზიკური პირი, თეიმურაზ უგულავა. შპს "სითი ლოფტის" წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N14.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში (იხ. შენიშვნა 6):

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	1,847	881

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 2021 წლისთვის	გარიგების ღირებულება 2020 წლისთვის	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა (i)				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	20,106	6,749	6,804	(1,128)
მომსახურების შესყიდვა (ii)				
მშობელი კომპანია	428	-	132	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	1,335	-	1,490	-

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე წლებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მიმართ უიმედო ან საეჭვო სესხის დავალიანების ოდენობაზე ხარჯების აღიარება.

(i) მომსახურების გაყიდვა წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც მიღებულია: შპს „ავიატორზე“ გაწეული სპონსორობის მომსახურებიდან და EBEL-ისთვის გაწეული სარეკლამო, ტექნიკური და მარკეტინგის მომსახურებიდან.

დაუფარავი ნაშთი წარმოადგენს მოთხოვნებს EBEL-ის და შპს „ავიატორის“ მიმართ, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (შპს ავიატორი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის).

(ii) მომსახურების შეძენა ძირითადად EBEL-ისთვის სარეკლამო და ტექნიკური მომსახურების მიწოდების ხარჯებს წარმოადგენს.

20. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავალი

შემოსავალი, საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას გაწეული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას მოიცავს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს მაშინ, როდესაც: შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება და სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში;

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყაროა სპონსორობის და სარეკლამო მომსახურების, სამაუწყებლო ქსელის და ტექნიკური და მარკეტინგული მომსახურების გაწევა მისი მომხმარებლებისთვის. აღნიშნული და სხვა დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულების დასრულების ეტაპის მიხედვით აღიარდება. ჯგუფი შემოსავალს წრფივი მეთოდით აღიარებს.

(b) სხვა შემოსავალი

ჯგუფი აღიარებს სხვა შემოსავალს მაშინ, როდესაც: მომსახურება მიწოდებულია და მიღებულია კლიენტების მიერ. სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს შვილობილი კომპანიისთვის გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას; სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი ვალებსა და გარანტიებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მისი დარიცხვისთანავე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი შემოსავლები მისი ჩართულობიდან საწარმოში და აქვს უნარი იმოქმედოს ამგვარ შემოსავლებზე საწარმოზე მისი უფლებამოსილების საშუალებით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხულია თვითღირებულებით კონტროლის ფაქტობრივად დაწყების თარიღიდან კონტროლის ფაქტობრივად შეწყვეტის თარიღამდე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ე) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო ვალების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება 1 წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ იქნება კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივის შემენისთვის გადახდილი ავანსები გადაცემულია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება იქნება მიღებული. თუ არსებობს მინიშნება იმისა, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

(ფ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება დგება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის თავდაპირველად დადებული პირობების მიხედვით გადახდის მიღებას. ამ შემთხვევაში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

(გ) სესხები

თავდაპირველად, სესხები აღიარდება გარიგების ფასით (ანუ, ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათლით). სესხები შემდგომ აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით და შეტანილია ფინანსურ ხარჯებში.

(h) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების და ოპერაციების კონვერტაციისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2021	2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აშშ დოლარი	3.2209	3.1097	3.0976	3.2766
ევრო	3.8140	3.5519	3.5040	4.0233

(i) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ „ჯგუფს“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(j) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი ორგანიზაციები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, საფინანსო დაწესებულებები აღარ გადავლენ დაბეგვრის ესტონურ მოდელზე (გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომლებიც გადადიან ესტონურ მოდელზე 2024 წლის იანვრიდან).

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(k) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ფასს საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, მოსალოდნელი გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

(l) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში:

- | | |
|-----------------------------------|-----------|
| – სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა | 2-5 წელი; |
| – კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა | 2-5 წელი; |
| – საიჯარო ქონების გაუმჯობესება | 5-7 წელი; |
| – სატრანსპორტო საშუალებები | 10 წელი. |

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივი უკვე არის იმ ასაკის და იმ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

(m) არამატერიალური აქტივები

(i) აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები, რომლებიც ძირითადად სამაუწყებლო უფლებებისგან შედგება, ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ჯგუფი სამაუწყებლო უფლებებს მათზე კონტროლის მოპოვების თარიღისთვის აღიარებს.

(ii) ამორტიზაცია

ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად, ანუ, როდესაც ის დანიშნულ ადგილას და მის გამოსაყენებლად აუცილებელ სამუშაო მდგომარეობაშია. სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ცვეთის ოდენობა თანაბრად უნდა განაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა ამორტიზებულია წრფივი მეთოდით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 10-წლიანი პერიოდის მანძილზე. სამაუწყებლო უფლებები ამორტიზებულია გამოყენების მეთოდით. კერძოდ, ამორტიზაცია გამოითვლება ფაქტობრივი რაუნდების/ეტაპების შესრულების მიხედვით.

მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე პერიოდისთვის, შემდეგია:

- | | |
|--------------------------------|------------------|
| – სამაუწყებლო უფლებები | რაუნდები/ეტაპები |
| – სხვა არამატერიალური აქტივები | 6-10 წელი; |

(n) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(o) გაუფასურება

(i) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

22. შემდგომი მოვლენები

(a) კაპიტალის ცვლილება

2022-2023 წლებში 82,5 მილიონი ლარი შეტანილ იქნა ფულადი სახსრებით კომპანიის საწესდებო კაპიტალში მშობელი კომპანიის მიერ.

(b) ცვლილება რეგულაციებში

2022 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აზარტული თამაშების ახალი რეგულაციები, მათ შორის ცვლილებები რეკლამირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ძალაში 2022 წლის 1 მარტს შევიდა.

რეკლამა

აზარტული თამაშების ორგანიზატორებს ეკრძალებათ რაიმე სახის რეკლამის განთავსება, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით და გარე რეკლამა. ამ კანონის გამონაკლისები არის შემდეგი:

- ადგილობრივად ლიცენზირებული აზარტული თამაშების ოპერატორების ვებგვერდზე განთავსებული რეკლამები;
- რეკლამა, რომელიც განთავსებულია სპორტული ღონისძიების ჩატარების ადგილზე, გარკვეული პირობებით;
- რეკლამა, რომელიც ვიზუალურად განთავსებულია ორგანიზატორის ე.წ. მიწის ობიექტთან, რომელიც იზღუდება მაქსიმუმ 10 კვ.მ. სარეკლამო სივრცით;

- რეკლამა, რომელიც განთავსებულია საერთაშორისო აეროპორტებსა და სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე;
- საპრიზო გათამაშებების რეკლამირება ნებადართულია სამორინების შიდა პერიმეტრში (მაგ. საბუკმეიკერო კანტორები, კაზინოები, სათამაშო აპარატების სალონები).

ახალი კანონის შემოღების შედეგად, შპს „ავიატორთან“ (ონლაინ აზარტული თამაშების ოპერატორი საქართველოში) გაფორმებული სპონსორობისა და რეკლამირების ხელშეკრულება შეწყდა, რის შედეგადაც 2022 წელს შეწყდა ჯგუფის ძირითადი შემოსავლის წყარო (სპონსორობა).

(c) ახალი ხელშეკრულება EBEL-თან

2022 წელს, ჯგუფმა გადაუხადა 25,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ავანსი EBEL-ს კონტენტზე უფლებების მიწოდებისთვის.

(d) სესხის რესტრუქტურიზაცია

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, ჯგუფმა გააფორმა სესხის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება საფინანსო დაწესებულებებთან, რის შედეგადაც სესხებისა და კრედიტების დაფარვის ვადა 2023 წლის აგვისტომდე გახანგრძლივდა.

შპს "აჭარა.ქომ"

2021 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სოფიო კახიძე

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

სოფიო კახიძე



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "აჭარა.ქომ"-ის მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აჭარა.ქომ“-ის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორების მიერ, რომლებმაც გამოთქვეს არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ანგარიშგებაზე 2021 წლის 3 ივნისს.

სოფიო ყაიხაძე

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულახდილად ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

სოფიო კახიძე

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნიკოლოზ ჭოჭუა

შპს "KPMG Georgia"

29 სექტემბერი 2023 წელი

ნიკოლოზ ჭოჭუა

'000 ლარი	შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	3,242	475
არამატერიალური აქტივები	12	-	3,852
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,242	4,327
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		16	3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	7,535	755
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	292	30
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,843	788
სულ აქტივები		11,085	5,115
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	15,448	3,394
დაგროვილი ზარალები		(13,624)	(7,981)
სულ კაპიტალი		1,824	(4,587)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	-	7,215
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	7,215
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	16	6,295	30
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	2,547	1,960
საგადასახადო ვალდებულებები		419	497
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,261	2,487
სულ ვალდებულებები		9,261	9,702
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,085	5,115

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-27 გვერდებზე

სოფიო კახიძე

'000 ლარი	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი მომსახურებიდან	5	24,951	9,689
სხვა შემოსავალი		33	46
სულ შემოსავალი		24,984	9,735
ცვეთა და ამორტიზაცია*	11,12	(10,139)	(6,375)
დასაქმებულთა გასამრჯელოები	6	(8,037)	(3,335)
გაუფასურების ზარალი გრძელვადიან აქტივებზე	11,12	(3,659)	-
სხვა ხარჯები	7	(3,460)	(954)
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები	8	(3,252)	(267)
კონტენტის ხარჯები	9	(1,154)	-
საიჯარო ხარჯები		(834)	(339)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(5,551)	(1,535)
ფინანსური ხარჯები	10	(631)	(680)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /(ზარალი)		539	(1,065)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(92)	(1,745)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(5,643)	(3,280)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი და მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		(5,643)	(3,280)

*ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს 9,272 ათასი ლარის და 6,192 ათასი ლარის ოდენობით სამაუწყებლო ლიცენზიის ამორტიზაციის ხარჯებს 2021 და 2020 წლებში, შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 29 სექტემბერი 2023 წლის 28 სექტემბერს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი
გიორგი ფრუიძე

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-27 გვერდებზე.

სოფიო გაბაძე

შპს "აჭარა.ქომ"
2021 წლის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს		2,830	(4,701)	(1,871)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	564	-	564
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	(3,280)	(3,280)
წლის ზარალი		3,394	(7,981)	(4,587)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს				
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს		3,394	(7,981)	(4,587)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	12,054	-	12,054
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში		-	(5,643)	(5,643)
წლის ზარალი		15,448	(13,624)	1,824
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს				

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 27 გვერდებზე.

სოფიო კაპანაძე

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		19,631	12,668
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(6,513)	(1,806)
დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(5,682)	(2,389)
გადახდილი გადასახადები		(3,562)	(1,880)
გადახდილი პროცენტი	16	(645)	(669)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,229	5,924
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(3,618)	(94)
არამატერიალური აქტივების შეძენა	12	(11,307)	(6,779)
სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		(33)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(14,958)	(6,873)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	17	-	487
სესხების დაფარვა	17	-	(168)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15	12,054	564
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		12,054	883
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		325	(66)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		30	133
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, წმინდა		(63)	(37)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	292	30

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10- 27 გვერდებზე.

სოფიო კანაძე

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვეველობა საქართველოს ბიზნეს გარემოში.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზე. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვეველობებს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ერთიანი ზრდა არის პროგნოზირებული, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „აჭარა.ქომის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“).

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც 2019 წლის 31 ივლისს დარეგისტრირდა. კომპანიის შვილობილი კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N14 და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404582055.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სატელევიზიო გადაცემების შექმნა, სპეციალიზებული სპორტული აქტივობების მაუწყებლობა და სამაუწყებლო კომპანიებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა. ჯგუფი მაუწყებლობს სპორტულ ღონისძიებებსა და გადაცემებს შემდეგი ვებგვერდების საშუალებით: www.adjara.com და www.setanta.ge და შემდეგი არხების საშუალებით: adjarasport1, adjarasport2, Setanta sport და Setanta sports +. მაუწყებლობა მოიცავს სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა საფეხბურთო ლიგები (ინგლისის პრემიერ ლიგა, გერმანიის ბუნდესლიგა და ა.შ.), ჩოგბურთის ტურნირები და „Ultimate Fighting Championships“ (UFC) და შოუები, რომლებსაც ჯგუფი იღებს მაუწყებლობის ლიცენზიებით სპორტული ღონისძიებებისა და ახალი ამბების პროვაიდერებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია სრულად იყო ფლობილი შპს „სითი ლოჯის“ (მშობელი კომპანია) მიერ (საქართველოში, თბილისში რეგისტრირებული კომპანია), ხოლო მისი საბოლოო მფლობელი იყო ფიზიკური პირი თეიმურაზ უგულავა (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე). ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ პირდაპირ შვილობილ კომპანიებს:

პირდაპირი შვილობილი კომპანია	ძირითადი საქმიანობა	საკუთრების წილი 2021 წლის 31 დეკემბერს	საკუთრების წილი 2020 წლის 31 დეკემბერს
შპს „აჭარა.ქომ“	ჰოლდინგური საწარმო ტექნიკური, მარკეტინგული, სარეკლამო და სამაუწყებლო ქსელის მომწოდებელი	100%	100%
შპს „Adjarasport.tv“	სამაუწყებლო ქსელის ოპერატორი და მომწოდებელი	100%	100%

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები 1,418 ათასი ლარით (31 დეკემბერი 2020: 1,699 ათასი ლარი), აჭარბებდა მის მოკლევადიან აქტივებს, ამასთანავე, ჯგუფმა გასწია 5,643 ათასი და 3,280 ათასი ლარის ოდენობით ზარალები 2021 და 2020 წლებში, შესაბამისად.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის დაფინანსების უდიდესი ნაწილი მშობელი კომპანიისგან არის, ხოლო საკრედიტო დაქვემდებარება - მესამე მხარის საფინანსო დაწესებულებების მიმართ. შედეგად, ჯგუფი ეკონომიკურად დამოკიდებულია მშობელი კომპანიისგან და საკრედიტო დაწესებულებებისგან მიღებულ დაფინანსებაზე. 2021 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფის სესხები საფინანსო დაწესებულებებისგან 6,295 ათასი ლარის ოდენობით თანხას მოიცავს (31 დეკემბერი 2020: 7,245 ათასი ლარი).

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზის გამო:

ნაკლებად სავარაუდო, მოვლენათა ყველაზე ცუდი განვითარების შემთხვევაში, მშობელი კომპანია ჯგუფს ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს: მშობელმა კომპანიამ დააფიქსირა მისი განზრახვა, რომ შემდგომშიც ხელმისაწვდომი გახადოს ფინანსური რესურსი ჯგუფის საჭიროების შესაბამისად, პროგნოზით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში (წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში).

აღნიშნულის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფს ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დადასტურების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდისთვის და შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის მიხედვით. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებადობის დაშვებასთან დაკავშირებით. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მშობელმა კომპანიამ განახორციელა დამატებითი შენატანები კომპანიის კაპიტალში, იხ. შენიშვნა 22(a).

(c) ცვლილება კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში

2021 წელს, ჯგუფმა შეცვალა გარკვეული მუხლების წარდგენა კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რადგან ახალი წარდგენა უკეთ ასახავს ჯგუფის საქმიანობის შედეგებს. შესაბამისი ციფრები შესაბამისად დაკორექტირდა. წარდგენაში ცვლილებების გავლენა შესაბამის ციფრებზე წარმოდგენილია ქვემოთ.

’000 ლარი	2020		
	ადრე წარდგენილის შესაბამისად	რეკლასიფიცირებული ოდენობა	მიმდინარე წარდგენის შესაბამისად
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსული მომსახურება	(857)	857	-
სხვა ხარჯები	(97)	(857)	(954)

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ათას ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

მცირე და საშუალო საწარმოების ფასს სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ახსნა-განმარტებებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მსჯელობებთან, დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 11 - ძირითადი საშუალებების გაუფასურება და შენიშვნაში 12 - არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

5. შემოსავალი მომსახურებიდან

'000 ლარი	2021	2020
სპონსორობის მომსახურება	12,289	6,654
სარეკლამო მომსახურება *	6,483	203
შემოსავალი სამაუწყებლო ქსელის მიწოდებიდან	4,815	2,809
ტექნიკური მხარდაჭერა და მარკეტინგული მომსახურება*	1,364	23
	24,951	9,689

*2021 წელს, ჯგუფმა დაკავშირებული მხარის საწარმოსთან, „Eurasian Broadcasting Enterprise Limited (EBEL)“-სთან გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება EBEL-ის მიერ ფლობილი სამაუწყებლო არხებისთვის სარეკლამო, ტექნიკური და მარკეტინგის მომსახურების მიწოდებაზე.

6. დასაქმებულთა გასამრჯელოები

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	7,555	3,230
საპენსიო ფონდი	133	58
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	80	37
სხვა სარგებელი	269	10
	8,037	3,335

7. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
გრძელვადიანი აქტივის ჩამოწერა *	1,853	-
პროფესიული მომსახურების საფასური	526	487
გამოწერის საფასური	157	27
ტექნიკური საფასური	148	77
კოლოკაციის ხარჯი	138	125
საოფისე ხარჯები	137	42
IT ხარჯები	132	-
ტრანსპორტირების ხარჯები	71	13
კომუნალური ხარჯები	58	60
საგადასახადო ხარჯები	57	14
სხვა ხარჯები	183	109
	3,460	954

*2021 წლის თებერვალში, ჯგუფმა შპს „სეტანტა ჯორჯიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება, აქტივის შეძენაზე, მათ შორის ფიქსირებული აქტივები, საიჯარო ხელშეკრულებები და მომსახურების ხელშეკრულებები. აქტივების შეძენის ფასი 2,543 ათასი ლარით განისაზღვრა, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლით. ჯგუფმა დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი რომელმაც განსაზღვრა თითოეული შეძენილი აქტივის ინდივიდუალური სამართლიანი ღირებულება შეძენის თარიღისთვის. მთლიანი შესყიდვის ფასი განაწილდა შეძენილ აქტივებზე მათ შესაბამისი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით, შეძენის თარიღისთვის. შესყიდვის ფასის არსებითი ნაწილი (95%) EBEL-თან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებაზე განაწილდა.

აქტივების გადაცემის შემდეგ, 2021 წლის მარტში, EBEL-მა და ჯგუფმა შეწყვიტეს მომსახურების ხელშეკრულება და გააფორმეს ახალი მომსახურების ხელშეკრულება მომსახურების გაზრდილი მოცულობით და შეცვალეს მომსახურების გაწევის პირობები. შედეგად, ჯგუფმა ჩამოწერა EBEL-თან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული 1,823 ათასი ლარის ოდენობით არამატერიალური აქტივები.

8. სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
სოციალური მედიის ხარჯები	2,138	214
სატელევიზიო რეკლამის ხარჯები	467	14
რეზერენდინგის ხარჯები	360	-
სხვა მარკეტინგის ხარჯები	287	39
	3,252	267

სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯების ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული EBEL-თან გაფორმებულ ახალ მომსახურების ხელშეკრულებასთან, რომლის მიხედვითაც, ჯგუფი EBEL-ის სამაუწყებლო არხებს უწევს სარეკლამო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 5).

9. კონტენტის ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
სპონსორობის მომსახურების საფასური	286	-
კონტენტის გადაცემის ხარჯები	868	-
	1,154	-

მომსახურების ხარჯები, ჯგუფის მიერ EBEL-ისთვის გაწეულ ტექნიკურ და სარეკლამო მომსახურებაზე გაწეულ სპონსორობის მომსახურების საფასურს და კონტენტის გადაცემის ხარჯებს მოიცავს.

10. ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	463	408
საპროცენტო ხარჯი გარანტიებზე	168	272
	631	680

11. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	ტელეკომუნიკაცია და აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	საიჯარო გაუმჯობესებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება					
2020 წლის 1 იანვარს	511	40	-	39	590
შესყიდვები	71	29	-	-	100
2020 წლის 31 დეკემბერს	582	69	-	39	690
2021 წლის 1 იანვარს	582	69	-	39	690
შესყიდვები	3,012	283	107	216	3,618
გასვლები / ჩამოწერები	(15)	(16)	-	(39)	(70)
2021 წლის 31 დეკემბერს	3,579	336	107	216	4,238
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი					
2020 წლის 1 იანვარს	(29)	(3)	-	(2)	(34)
წლის ცვეთა	(154)	(19)	-	(8)	(181)
2020 წლის 31 დეკემბერს	(183)	(22)	-	(10)	(215)
2021 წლის 1 იანვარს	(183)	(22)	-	(10)	(215)
წლის ცვეთა	(462)	(64)	(2)	(25)	(553)
გასვლები / ჩამოწერები	11	12	-	13	36
გაუფასურების ზარალი					
წლის განმავლობაში	(238)	(26)	-	-	(264)
2021 წლის 31 დეკემბერს	(872)	(100)	(2)	(22)	(996)
საბალანსო ღირებულებები					
2020 წლის 1 იანვარს	482	37	-	37	556
2020 წლის 31 დეკემბერს	399	47	-	29	475
2021 წლის 31 დეკემბერს	2,707	236	105	194	3,242

დამატებები ძირითად საშუალებებზე ძირითადად წარმოადგენს ახალ აღჭურვილობას, რომელიც შეძენილია სამაუწყებლო კომპანიებისთვის (EBEL 2021 წელს) ტექნიკური და მარკეტინგის მომსახურების გასაწევად.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ გამოავლინა მაჩვენებელი იმისა, რომ ის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელშიც შეტანილია ძირითადი საშუალებები შეიძლება იყოს გაუფასურებული, რადგან ბიზნესი ზარალიანია. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შეტანილი აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდა მათი სამართლიანი ღირებულებით, გასვლის ხარჯების გამოკლებით. 2021 წელს განხორციელებული დამატებების ანაზღაურებადი ღირებულება აქტივების საბალანსო ღირებულებას მიხედვით ოდენობით შეფასდა და გაუფასურება არ ყოფილა აღიარებული. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასვლის ხარჯები (FVLCD) იდენტური აქტივების დაკვირვებადი კოტირებული ფასების მიხედვით შეფასდა. რადგან ძირითადი საშუალებების უმეტესი ნაწილი შეძენილი და ექსპლუატაციაში შეყვანილი იქნა 2021 წლის ბოლოს, ხელმძღვანელობას ტექნოლოგიური ან ფიზიკური დაძველების ნიშნები არ გამოუვლენია. რაც შეეხება 2021 წლამდე შეძენილ ძირითად საშუალებებს, ხელმძღვანელობამ მისი ანაზღაურებადი ღირებულება ნულის ტოლი ოდენობით შეაფასა და 264 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი აღიარა.

მგრძნობელობის ანალიზი

ხელმძღვანელობის შეფასებით 2021 წელს შეძენილი აქტივების „სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასვლის ხარჯების“ 10%-იანი კლება ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებაზე დაბლა დაწევას არ გამოიწვევდა.

12. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	სამაუწყებლო უფლებები	სხვა	სულ
თვითღირებულება			
2020 წლის 1 იანვარს	5,694	11	5,705
შესყიდვები	7,367	16	7,383
გასვლები / ჩამოწერები	(6,480)	-	(6,480)
2020 წლის 31 დეკემბერს	6,581	27	6,608
2021 წლის 1 იანვარს	6,581	27	6,608
შესყიდვები	8,747	3,762	12,509
გასვლები / ჩამოწერები	(8,226)	(3,689)	(11,915)
2021 წლის 31 დეკემბერს	7,102	100	7,202
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები			
2020 წლის 1 იანვარს	(2,930)	-	(2,930)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(6,192)	(1)	(6,193)
გასვლები / ჩამოწერები	6,367	-	6,367
2020 წლის 31 დეკემბერს	(2,755)	(1)	(2,756)
2021 წლის 1 იანვარს	(2,755)	(1)	(2,756)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(9,272)	(281)	(9,553)
გასვლები / ჩამოწერები	8,226	276	8,502
გაუფასურების ზარალი წლის განმავლობაში	(3,301)	(94)	(3,395)
2021 წლის 31 დეკემბერს	(7,102)	(100)	(7,202)
საბალანსო ღირებულებები			
2020 წლის 1 იანვარს	2,764	11	2,775
2020 წლის 31 დეკემბერს	3,826	26	3,852
2021 წლის 31 დეკემბერს	-	-	-

არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს სამაუწყებლო ლიცენზიები შეადგენს. ლიცენზიები აღიარდება და მათი აღიარება წყდება სეზონურად, შესაბამისად, ზემოთ მოცემულ უწყვეტობის ცხრილში ასახულია დამატებების და გასვლების ოდენობები.

ჯგუფმა შეიძინა შემდეგი სპორტული ღონისძიებების სამაუწყებლო უფლებები: ინგლისის პრემიერ ლიგა, FA თასი, გერმანიის თასი, ესპანეთის თასი, ავსტრიის ბუნდესლიგა, ჩოგბურთის ტურნირები (WTA, ATP) და UFC და ა.შ. მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ჯგუფმა მიიღო სამაუწყებლო უფლებები 2022 და 2023 წლებისთვის. ჯგუფმა სამაუწყებლო უფლება აქტივზე კონტროლის მოპოვების თარიღისთვის აღიარა. კონტროლის მოპოვების თარიღის განსაზღვრა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე არის დამოკიდებული. ფაქტორები, რომლებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მოიცავს:

- 1) არის თუ არა შესაბამისი რესურსი საკმარისად იდენტიფიცირებადი.
- 2) აქვს თუ არა საწარმოს ექსკლუზიური იურიდიული უფლებები მაუწყებლობაზე.
- 3) არსებობს თუ არა მოვლენის მოხდების ალბათობა
- 4) არსებობს თუ არა ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოღინების ალბათობა

იმისათვის, რომ სპორტული ღონისძიების მაუწყებლობის უფლება იყოს იდენტიფიცირებადი, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ფაქტორები: ადგილმდებარეობა, მონაწილეების რაოდენობა და იდენტობა, ღონისძიებების ჩატარების დრო.

სოფიო გაბაძე

ექსკლუზიურობის განსასაზღვრად ჯგუფი განსაზღვრული პერიოდის და გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ხელშეკრულებას იყენებს. ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, ჯგუფი აღიარებს აქტივს და ვალდებულებას.

მაუწყებლობის უფლებებთან დაკავშირებული მომავალი გადახდები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალდებულებები	1 წლამდე	1-3 წლამდე	სულ
სავაჭრო			
ვალდებულებები	7,046	1,138	8,184

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა გამოავლინა მაჩვენებელი იმისა, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელიც მაუწყებლობის ლიცენზიებს მოიცავს, შეიძლება იყოს გაუფასურებული. ფულადი სახსრების წარმომქმნელმა ერთეულმა არ გამოიმუშავა დადებითი ფულადი ნაკადები. გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად, არამატერიალური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება ნულის ტოლი ოდენობით განისაზღვრა. შედეგად, ხელმძღვანელობამ 3,395 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალი აღიარა.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადახდილი ავანსები	269	616
სავაჭრო მოთხოვნები*	7,266	173
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,535	789
უიმედო ვალების რეზერვი	-	(34)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	7,535	755
	2021	2020
მოდრობა რეზერვის ანგარიშზე:		
ნაშთი წლის დასაწყისში	(34)	(34)
მოგებაში ან (ზარალში) აღიარებული ცვლილებები	34	-
ნაშთი წლის ბოლოს	-	(34)

*სავაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაწილი EBEL-ის მიმართ არსებულ ნაშთს წარმოადგენს.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	28	10
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	264	20
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	292	30

15. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და 15,448 ათასი ლარის ტოლია (2020: 3,394 ათასი ლარი).

2021 წელს, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 12,054 ათასი ლარის ოდენობით ფულადი სახსრების შენატანებით იქნა გაზრდილი მშობელი კომპანიის მიერ (2020: 564 ათასი ლარი).

16. სესხები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხები	-	7,215
	-	7,215
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საბანკო სესხები	6,295	30
	6,295	30
	6,295	7,245

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

გადაუხდელი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი				31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან აღებული სესხები*	ევრო	6-თვიანი EUR- Libor + 7% p.a. მარჟა	მოთხოვნამდე	3,187	3,657
ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	ევრო	6-თვიანი EUR- Euribor + 7% p.a. მარჟა	2022	3,108	3,588
სულ პროცენტით ვალდებულებები				6,295	7,245

ბანკებისგან მიღებული სესხის მიზანი სამაუწყებლო ლიცენზიის ღირებულების დაფინანსებაა.

*მიღებული სესხები უზრუნველყოფილია მშობელი კომპანიის და იმავე დონის შვილობილი საწარმოების გრძელვადიანი აქტივებით. ამასთანავე, სესხი კოვენანტებს ექვემდებარება. ჯგუფმა არ დააკმაყოფილა ყველა კოვენანტი, სასესხო ხელშეკრულებით მოთხოვნილის შესაბამისად. აღნიშნული დარღვევის გამო, დაუფარავი ნაშთი წარმოდგენილია მოკლევადიანი ვალდებულების სახით 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, სესხებისა და კრედიტების რესტრუქტურისა და მოხდა (იხ. შენიშვნა 22 (d)).

(b) სესხებისა და კრედიტების მოძრაობის შეჯერება:

'000 ლარი	2021	2020
ნაშთი 1 იანვარს	7,245	5,486
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	487
სესხების დაფარვა	-	(168)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	-	319
სხვა ცვლილებები		
საპროცენტო ხარჯი	463	408
გადახდილი პროცენტი	(492)	(398)
საკურსო სხვაობით განპირობებული (შემოსულობა)/ზარალი	(921)	1,430
ნაშთი 31 დეკემბერს	6,295	7,245

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	2,418	715
მიღებული ავანსები	28	1,176
სხვა ვალდებულება	101	69
	2,547	1,960

18. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო ქონებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება ჯგუფის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ ჯგუფის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

19. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არის შპს „სითი ლოფტი“ და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა, ფიზიკური პირი, თეიმურაზ უგულავა. შპს „სითი ლოფტის“ წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N14.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში (იხ. შენიშვნა 6):

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	1,847	881

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 2021 წლისთვის	გარიგების ღირებულება 2020 წლისთვის	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა (i)				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	20,106	6,749	6,804	(1,128)
მომსახურების შესყიდვა (ii)				
მშობელი კომპანია	428	-	132	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	1,335	-	1,490	-

არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე წლებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მიმართ უიმედო ან საეჭვო სესხის დავალიანების ოდენობაზე ხარჯების აღიარება.

(i) მომსახურების გაყიდვა წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც მიღებულია: შპს „ავიატორზე“ გაწეული სპონსორობის მომსახურებიდან და EBEL-ისთვის გაწეული სარეკლამო, ტექნიკური და მარკეტინგის მომსახურებიდან.

დაუფარავი ნაშთი წარმოადგენს მოთხოვნებს EBEL-ის და შპს „ავიატორის“ მიმართ, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის (შპს ავიატორი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის).

(ii) მომსახურების შეძენა ძირითადად EBEL-ისთვის სარეკლამო და ტექნიკური მომსახურების მიწოდების ხარჯებს წარმოადგენს.

20. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებდა შემდეგ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) შემოსავალი

შემოსავალი, საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას გაწეული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას მოიცავს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს მაშინ, როდესაც: შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება და სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება საწარმოში;

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი წყაროა სპონსორობის და სარეკლამო მომსახურების, სამაუწყებლო ქსელის და ტექნიკური და მარკეტინგული მომსახურების გაწევა მისი მომხმარებლებისთვის. აღნიშნული და სხვა დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულების დასრულების ეტაპის მიხედვით აღიარდება. ჯგუფი შემოსავალს წრფივი მეთოდით აღიარებს.

(b) სხვა შემოსავალი

ჯგუფი აღიარებს სხვა შემოსავალს მაშინ, როდესაც: მომსახურება მიწოდებულია და მიღებულია კლიენტების მიერ. სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს შვილობილი კომპანიისთვის გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას; სხვა შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი ვალებსა და გარანტიებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მისი დარიცხვისთანავე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი შემოსავლები მისი ჩართულობიდან საწარმოში და აქვს უნარი იმოქმედოს ამგვარ შემოსავლებზე საწარმოზე მისი უფლებამოსილების საშუალებით. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხულია თვითღირებულებით კონტროლის ფაქტობრივად დაწყების თარიღიდან კონტროლის ფაქტობრივად შეწყვეტის თარიღამდე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(e) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო ვალების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება 1 წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ იქნება კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივის შეძენისთვის გადახდილი ავანსები გადაცემულია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება იქნება მიღებული. თუ არსებობს მინიშნება იმისა, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

(f) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება დგება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მხარეებს შორის თავდაპირველად დადებული პირობების მიხედვით გადახდის მიღებას. ამ შემთხვევაში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

(g) სესხები

თავდაპირველად, სესხები აღიარდება გარიგების ფასით (ანუ, ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომ აღირიცხულია ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით და შეტანილია ფინანსურ ხარჯებში.

(h) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების და ოპერაციების კონვერტაციისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსები შემდეგია:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2021	2020	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აშშ დოლარი	3.2209	3.1097	3.0976	3.2766
ევრო	3.8140	3.5519	3.5040	4.0233

(i) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ „ჯგუფს“ ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ხსენებული თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ხსენებული ვალდებულება შესაძლებელია საიმედოდ იქნას შეფასებული.

(j) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სესხის გამცემი ორგანიზაციები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, საფინანსო დაწესებულებები აღარ გადავლენ დაბეგვრის ესტონურ მოდელზე (გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომლებიც გადადიან ესტონურ მოდელზე 2024 წლის იანვრიდან).

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშევა.

(k) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ფასს საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, მოსალოდნელი გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

(l) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალებების ღირებულების ნაწილის სახით. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში:

- | | |
|-----------------------------------|-----------|
| - სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა | 2-5 წელი; |
| - კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა | 2-5 წელი; |
| - საიჯარო ქონების გაუმჯობესება | 5-7 წელი; |
| - სატრანსპორტო საშუალებები | 10 წელი. |

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო ღირებულებას, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან (გამოკლებული სავარაუდო გაყიდვის ხარჯები), თუ აქტივი უკვე არის იმ ასაკის და იმ მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება.

(m) არამატერიალური აქტივები

(i) აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები, რომლებიც ძირითადად სამაუწყებლო უფლებებისგან შედგება, ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ჯგუფი სამაუწყებლო უფლებებს მათზე კონტროლის მოპოვების თარიღისთვის აღიარებს.

(ii) ამორტიზაცია

ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად, ანუ, როდესაც ის დანიშნულ ადგილას და მის გამოსაყენებლად აუცილებელ სამუშაო მდგომარეობაშია. სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ცვეთის ოდენობა თანაბრად უნდა განაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა ამორტიზებულია წრფივი მეთოდით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია 10-წლიანი პერიოდის მანძილზე. სამაუწყებლო უფლებები ამორტიზებულია გამოყენების მეთოდით. კერძოდ, ამორტიზაცია გამოითვლება ფაქტობრივი რაუნდების/ეტაპების შესრულების მიხედვით.

მნიშვნელოვანი არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე პერიოდისთვის, შემდეგია:

- | | |
|--------------------------------|------------------|
| - სამაუწყებლო უფლებები | რაუნდები/ეტაპები |
| - სხვა არამატერიალური აქტივები | 6-10 წელი; |

სოფიო კვანტა

(n) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(o) გაუფასურება

(i) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

22. შემდგომი მოვლენები

(a) კაპიტალის ცვლილება

2022-2023 წლებში 82,5 მილიონი ლარი შეტანილ იქნა ფულადი სახსრებით კომპანიის საწესდებო კაპიტალში მშობელი კომპანიის მიერ.

(b) ცვლილება რეგულაციებში

2022 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აზარტული თამაშების ახალი რეგულაციები, მათ შორის ცვლილებები რეკლამირებასთან დაკავშირებით, რომლებიც ძალაში 2022 წლის 1 მარტს შევიდა.

რეკლამა

აზარტული თამაშების ორგანიზატორებს ეკრძალებათ რაიმე სახის რეკლამის განთავსება, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით და გარე რეკლამა. ამ კანონის გამონაკლისები არის შემდეგი:

- ადგილობრივად ლიცენზირებული აზარტული თამაშების ოპერატორების ვებგვერდზე განთავსებული რეკლამები;
- რეკლამა, რომელიც განთავსებულია სპორტული ღონისძიების ჩატარების ადგილზე, გარკვეული პირობებით;
- რეკლამა, რომელიც ვიზუალურად განთავსებულია ორგანიზატორის ე.წ. მიწის ობიექტთან, რომელიც იზღუდება მაქსიმუმ 10 კვ.მ. სარეკლამო სივრცით;

- რეკლამა, რომელიც განთავსებულია საერთაშორისო აეროპორტებსა და სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე;
- საპრიზო გათამაშებების რეკლამირება ნებადართულია სამორინეების შიდა პერიმეტრში (მაგ. საბუკმეიკერო კანტორები, კაზინოები, სათამაშო აპარატების სალონები).

ახალი კანონის შემოღების შედეგად, შპს „ავიატორთან“ (ონლაინ აზარტული თამაშების ოპერატორი საქართველოში) გაფორმებული სპონსორობისა და რეკლამირების ხელშეკრულება შეწყდა, რის შედეგადაც 2022 წელს შეწყდა ჯგუფის ძირითადი შემოსავლის წყარო (სპონსორობა).

(c) ახალი ხელშეკრულება EBEL-თან

2022 წელს, ჯგუფმა გადაუხადა 25,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ავანსი EBEL-ს კონტენტზე უფლებების მიწოდებისთვის.

(d) სესხის რესტრუქტურიზაცია

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, ჯგუფმა გააფორმა სესხის რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულება საფინანსო დაწესებულებებთან, რის შედეგადაც სესხებისა და კრედიტების დაფარვის ვადა 2023 წლის აგვისტომდე გახანგრძლივდა.

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N231372219



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.09.2023 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV,
სართული 2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

04826652380323




მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ. დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830) დამოწმდა მისი ხელმოწერის ნამდვილობა დოკუმენტის - შპს „აჭარა. ქომ“ 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე. მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით. გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 2 ეგზემპლარზე შესრულებული 54 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 162 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.დ.გ 29 ლარი და 16 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების #507-ის 39-ე მუხლისა).

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შეკერილია და დაბრუნებულია
ქვემოთ
ნოტარიუსი
დანი მჭავჭავაძე

